ოქმი:ო63. 6324081001
თარიღი:21/03/2024

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. სამტრედია. 18 მარტი, 2024 წელი.

2024 წლის 18 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე მ.შ., ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, ნათია იობაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

11. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

12. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზით დღეს, სხდომას ვერ ესწრება საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,ბატონი მერაბ უღრელიძე. შესაბამისად, დღის წესრიგით განსაზღვრულ საფინანსო საკითხებს, ბიუროს სხდომას განსახილველად წარუდგენს, ბატონი გოჩა არველაძე.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-6224073141 და 18 მარტის N62-622407871 (კორექტირებული) წერილობითი მომართვები, რომლებიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კორექტირებული წერილობითი მომართვა განპირობებული იყო იმით, რომ სახელშეკრულებო ფონდის ცვლილების საკითხი ბოლომდე ვერ იქნა შესწავლილი, რაც იწვევს საქონელი და მომსახურების მუხლში არასწორ შიდა მუხლობრივ ცვლილებას. აქედან გამომდინარე მომართვაში მოთხოვნილი, შრომითი ხელშეკრულების ანაზღაურების ფონდში დამატებული 42,0 ათასი ლარი მიემართოს, კვლავ საქონელი და მომსახურების მუხლში, ავეჯის ხარჯის დასაფინანსებლად. შესაბამისად, კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება (კვების ტენდერებში დარჩენილი ეკონომიიდან გამომდინარე) 75.0 ათ.ლარი, შესაბამისად, არაფინანსურ აქტივში, არასაცხოვრებელი შენობები''-ს მუხლში თანხა იზრდება 75.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 2-6224073137 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი ჯიკო''-ს 2024 წლის წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 32.3 ათ.ლარით, სხვა ხარჯის მუხლში 19.7

ათ.ლარით, სულ 52.0 ათ.ლარით; შესაბამისად, არაფინანსურ აქტივში, არასაცხოვრებელი შენობის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 52.0 ათ.ლარით. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ხორციელდება ძველი ტექნიკუმის შენობაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია. მცირდება სპორტული ღონისძიებებისთვის განკუთვნილი თანხები, სამაგიეროდ სპონსორები მოახდენენ ღონისძიებების დაფინანსებას.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს დააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-6224073138 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. “ სპორტული კომპლექსი სამტრედია'' -ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. დროებით სარგებლობაში მყოფ საფეხბურთო მოედანზე, მორიგი საფეხბურთო სეზონის გახსნის წინ, საჭირო გახდა გარკვეული ღონისძიებების ჩატარება, რამაც გამოიწვია ცვლილება ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯების არაფინანსური აქტივების მუხლში. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 13.20 ათ.ლარით, შესაბამისად, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 6.0 ათ.ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 2.0 ათ.ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლში 5.20 ათ.ლარით. წარმოდგენილი პროექტით მცირდება 3 საშტატო ერთეული (2 ცურვის სპეციალისტი და 1 ცეცხლფარეში).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-6224073140 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა''-ქვეპუნქტის და 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დღეის მდგომარეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაქტ-ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომლების საშტატო ერთეული არ არის შესაბამისობაში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურების ფუნქციონირების შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის №01163 ბრძანებით დამტკიცებულ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინს) მოთხოვნებთან, რისთვისაც ლაბორატორიის 5 საშტატო ერთეული ექვემდებარება შემცირებას. ითხოვს შემოსავლებში, ადგილობრივი სუბსიდიის გეგმის შემცირებას 29,0 ათასი ლარით. ხარჯებში სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხის 0,5 ათ ლარით შემცირებას, საქონელი და მომსახურეობის მუხლში 8,0 ათასი ლარით და შრომის ანაზღაურების მუხლში 20,5 ათ ლარით. ასევე ითხოვს, მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯებში მუხლობრივ ცვლილებას:

კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხა მცირდება 3,0 ათ. ლარით; შესაბამისად საქონელის და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 1,6 ათ. ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლში 1,4 ათ. ლარით, ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული ,,ც'' ჰეპატიტის პროგრამის დაფინანსება განხორციელდება მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-6224073118, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანის საკითხს. სოციალური ბიუჯეტი იზრდება - 25 000 -ლარით; კერძოდ, იზრდება: მუხლი 7: ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა'' - 25000 ლარით.

აზრი გამოთქვა: ტარიელ ცომაიამ.

ტარიელ ცომაია - აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ წინასაპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების დროს აღმოჩნდა, რომ 2024 წლის გეგმით დამტკიცებული თანხები არ არის საკმარისი. გადავხედეთ მეზობელი მუნიციპალიტეტების მაგალითებს, რომელ მუნიციპალიტეტებსაც გამოცხადებული აქვთ ტენდერი აღმოჩნდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ყველაზე პატარა ფართის საცხოვრებელი სახლი, ჯდება 57,0 ათ. ლარი. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა სოციალურ პროგრამაში მე-7 მუხლში თანხის გაზრდა. ზოგადად მიმაჩნია, რომ უფრო კარგი იქნება თუ გარემონტდება მიტოვებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სახლები, სადაც შესაძლებელი იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე უსახლკარო პირის შესახლება.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-6224073139, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებაში შეტანილი 2024 წლის 1 მარტის N297 განკარგულების

შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 475.5 ათ. ლარი, შესაბამისად გაიზარდოს (**03 03 კოდი) დასუფთავების არაფინანსური აქტივების გეგმა.** (იხ. დანართი N297 განკარგულება).

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შეტანილი, 2024 წლის 29 თებერვლის N271 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა განისაზღვრა 290.0 ათ. ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისად გაიზარდოს (02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 70.5 ათ. ლარით; ხოლო (04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 219.5 ათ. ლარით (იხ. დანართი N271 განკარგულება).

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 იანვრის N56 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 36.0 ათ. ლარით და შესაბამისად განისაზღვრა 758.5 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს (**04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის** საქონელი და მომსახურების გეგმა 36.0 ათასი ლარით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტმა CESL-ს პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საპროექტო იდეების კონკურსში, შეფასების კომისიის გადაწყვეტილებით მოიპოვა საგრანტო დაფინანსება 500.0 ათ. ლარის ოდენობით მდინარე რიონზე არსებული ბორანის რეკონსტრუქციისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს (**02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა 500.0 ათ. ლარით.

შემცირდეს სულ - 483.5 ათ. ლარით:

- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 117.6 ათ. ლარით;
- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს - 11.8 ათ. ლარით;
- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 325.1 ათ. ლარით;
- **(06 01 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** სუბსიდიის გეგმა - 29.0 ათ. ლარით;

შესაბამისად სულ 483.5 ათ. ლარით გაიზარდოს და მოწესრიგდეს:

- **(02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 10.0 ათ. ლარით;
- **(05 07 კოდი) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 205.2 ათ. ლარით;
- **(06 02 07 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარების** სხვა ხარჯების გეგმა გაიზარდოს - 25.0 ათ. ლარით;
- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 243.3 ათ. ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 20.0 ათ. ლარი და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(05 05 02 კოდი) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს 2.9 ათ. ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცრიდეს - 4.9 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა - 7.8 ათ. ლარით.

- **(05 05 01 კოდი) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს 1.8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს 1.8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(04 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 75.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(05 01 02 03 კოდი) ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 52.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(03 03 კოდი) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 90.0 ათ. ლარით **02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** გრანტების გეგმა - 90.0 ათ. ლარით.

- **(02 05 კოდი) სოფლის მეურნეობის განვითარების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 150.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **არაფინანსური აქტივების კლების გეგმა შემცირდეს - 335.5 ათ. ლარით და შესაბამისად შემცირდეს (03 03 კოდი) დასუფთავების არაფინანსური აქტივების გეგმა.**

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 მარტის*** № 62-622407168 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 დადგენილება მიღებული იყო „საჯარო

დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების საფუძველზე. ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'', საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილება. დღეის მდგომარეობით, საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი და პირობები განისაზღვრება, ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით. ,,საჯარო სამსახურის შესახებ'', საქართველოს კანონის 84^1 -ე მუხლის და ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'', საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილება არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის დადგენას, დამატებით მუნიციპალიტეტის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 მარტის*** № 62-622407185 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებების მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში აისახება, რომ ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 მარტის*** № 62-622407185 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა სამტრედიის

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების პირველი მუხლის, პირველი პუნქტში და მე-3 მუხლს დაემატოს ,,შ[1]''-ქვეპუნქტი. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში აისახება, რომ ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობას და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 11 მარტის*** № 62-622407169 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების'' დამტკიცების საკითხს.

საკითხი ერთობლივად განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებმა. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად დამტკიცდეს „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია“ ამ დადგენილების დანართი N1-ის შესაბამისად.

- დამტკიცდეს „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები“ წინამდებარე დადგენილების დანართი N2-ის შესაბამისად.

- დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულ იქნეს:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა/დამტკიცებისას, წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;

ბ) მშენებლობის ნებართვის გაცემისას, წარმოსადგენი გამწვანების პროექტის შეთანხმების ფარგლებში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ მწვანე ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობის ფარგლებში.

ასევე პროექტში დეტალურად არის განსაზღვრული **დანართი N2-ის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები: განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ეტაპზე დასამუშავებელი გამწვანების ზოგადი პროექტი; განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი; მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი სანებართვო განაცხადისთვის თანდართული გამწვანების პროექტი; მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი**

გამწვანების პროექტი;

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 მარტის*** № 62-622407342 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ერთობლივად განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიებმა. წარმოდგენილ პროექტში მე-4 პუნქტში განსაზრვრული იყო ,,მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია''. ხოლო მე-7 პუნქტად განსაზღვრული იყო ,,მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შეძენა-გადაცემა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებისათვის''. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე გაითვალისწინა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას, რეკომენდაცია და გადაწყდა, რომ მოსახლეობისათვის ამოსატუმბი მოწყობილობების გადაცემა შედეგს ვერ მოგვცემდა. ამიტომ შეტანილ იქნა ცვლილება პროექტში. კერძოდ, გაუქმდა მე-7 პუნქტი და მე-4 პუნქტს დაემატა ,,წყლის სისტემების რეაბილიტაცია''. შესაბამისად მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული **წყლისა და კანალიზაციის** სისტემის რეაბილიტაცია''.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ც

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - ჯიკო“-ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335919 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ.63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

11. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

12. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2024 წლის

19 მარტს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი